


დირექტორობის კანდიდატის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის
ასარჩევად წარდგენის მიზნით თანხმობის ელექტრონული განაცხადის
წარდგენის ინსტრუქცია

1. ელექტრონული რეგისტრაციის გვერდზე შესასვლელად აკრიფეთ მისამართი <https://directors.mes.gov.ge/> ან ისარგებლეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ გვერდზე არსებული ბმულით.
2. დირექტორობის კანდიდატის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად თანხმობის ელექტრონული განაცხადის წარდგენის მიზნით, დირექტორობის უფლების მქონე პირმა უნდა გაიაროს მომხმარებლად რეგისტრაცია, რისთვისაც უნდა აირჩიოს დილაკი „რეგისტრაცია“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.



3. შესაბამის ველებში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. დაბადების თარიღი შეგიძლიათ აირჩიოთ როგორც კალენდარიდან, ასევე -

შეიყვანოთ ხელით შემდეგი თანმიმდევრობით: თვე/დღე/წელი) და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

მომხმარებლად რეგისტრაცია

The image shows a registration form with two input fields. The first field is labeled 'პირადი ნომერი' (Personal Number) and the second is labeled 'თვე/დღე/წელი' (Month/Day/Year). To the right of the second field is a small calendar icon. Below these fields is a dark blue button labeled 'შემდეგი' (Next).


4. ღილაკი „შემდეგის“ გააქტიურების შემდგომ გამოვა ფანჯარა, სადაც მითითებული იქნება თქვენი პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სახელი და გვარი. ყურადღებით გადაამოწმეთ მონაცემების სისწორე და დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

მომხმარებლად რეგისტრაცია

The image shows a registration form with four input fields. The first two are 'პირადი ნომერი' (Personal Number) and 'თვე/დღე/წელი' (Month/Day/Year). The next two are 'სახელი' (Surname) and 'გვარი' (Given Name). To the right of the second field is a small calendar icon. At the bottom right are two dark blue buttons: 'უკან' (Back) and 'შემდეგი' (Next).

5. მომხმარებლად რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით, შესაბამის ველში მიუთითეთ თქვენი მობილურის ნომერი, დააჭირეთ ღილაკს „SMS კოდის მიღება“. მითითებულ მობილურის ნომერზე მიიღებთ აქტივაციის კოდს სმს-ის სახით, რომელიც უნდა ასახოთ შესაბამის ველში და დააჭიროთ ღილაკს „შემდეგი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათებზეა ნაჩვენები.

მომხმარებლად რეგისტრაცია



A registration form with two input fields: "ტელეფონი" (Phone) and "SMS კოდი" (SMS code). The "ტელეფონი" label and its input field are circled in red. Below the "ტელეფონი" field is a dark button labeled "SMS კოდის მიღება" (Get SMS code), also circled in red. At the bottom right are two dark buttons: "უკან" (Back) and "შემდეგი" (Next).


მომხმარებლად რეგისტრაცია



A registration form showing the next step. The "ტელეფონი" (Phone) field is empty. The "SMS კოდი" (SMS code) field is circled in red. Below it, red text reads "გთხოვთ მიუთითოთ ვერიფიკაციის კოდი" (Please specify the verification code). Below that, it says "კოდი აქტიურია 2:52" (Code is active 2:52). At the bottom right are two dark buttons: "უკან" (Back) and "შემდეგი" (Next), with the "შემდეგი" button circled in red.

6. აქტივაციის კოდის გააქტიურების შემდგომ შესაბამის ველში მიუთითეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი, სასურველი პაროლი, გაიმეორეთ პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

მომხმარებლად რეგისტრაცია



The image shows a registration form titled "მომხმარებლად რეგისტრაცია". The form contains the following elements:

- A text input field labeled "ელ. ფოსტა" (Email), which is circled in red.
- A text input field labeled "პაროლი" (Password), which is circled in red.
- A text input field labeled "გაიმეორეთ პაროლი" (Repeat password), which is circled in red.
- Two buttons at the bottom right: "უკან" (Back) and "რეგისტრაცია" (Registration). The "რეგისტრაცია" button is circled in red.

გაითვალისწინეთ: მომხმარებლად რეგისტრაცია არ გულისხმობს დირექტორობის კანდიდატის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენას და აუცილებელია თანხმობის ელექტრონული განაცხადის წარდგენა.

7. მომხმარებლის რეგისტრაციის შემდგომ შესაძლებლობა გაქვთ წარადგინოთ თანხმობის განაცხადი, რისთვისაც უნდა დააჭიროთ ღილაკს „თანხმობის განაცხადი“, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

თქვენი უნიკალური კოდია: 370221

დირექტორობის კანდიდატის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად წარდგენის მიზნით, დირექტორობის უფლების მქონე პირმა უნდა წარადგინოს თანხმობის ელექტრონული განაცხადი. თანხმობის განაცხადის წარდგენის მიზნით, დააჭირეთ ქვემოთ მოცემულ ღილაკს „თანხმობის განაცხადი“.

გაითვალისწინეთ, რომ თანხმობის განაცხადის წარდგენის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელმაც საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის წარმატებით გავლის შედეგად, მოიპოვა დირექტორობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატი (დირექტორობის უფლების მქონე პირი). ამასთან, სერტიფიკატი ძალას კარგავს, თუ დირექტორობის უფლების მქონე პირი სერტიფიცირებულ პირთა სიის დამტკიცებიდან 7 წლის განმავლობაში არ დაიწყებს დირექტორის საქმიანობის განხორციელებას.



8. „თანხმობის განაცხადის“ ღილაკის გააქტიურების შემდგომ შეარჩიეთ და დაამატეთ არაუმეტეს 3 საჯარო სკოლა, ატვირთეთ პირადობის მოწმობისა ან პასპორტის ასლი, ფოტოსურათი 3X4, შეავსეთ სამოტივაციო წერილის ველი და დააჭირეთ ღილაკს წარდგენა, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.


საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის მიზნით თანხმობის განაცხადის ელექტრონულად წარდგენა

აირჩიეთ რეგიონი: აირჩიეთ რაიონი: აირჩიეთ სკოლა: დამატება

თქვენს მიერ შერჩეული სკოლები

ატვირთეთ პირადობის ან პასპორტის ასლი ატვირთეთ ფოტოსურათი 3X4

სამოტივაციო წერილი (არაუმეტეს 2000 სიმბოლო)





გაითვალისწინეთ: თითოეული ასატვირთი ფაილის მაქსიმალური ზომა არ უნდა აღემატებოდეს 2 MB-ს.

9. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ დამატებული საჯარო სკოლის შეცვლა ან წაშლა, დააჭირეთ წაშლის ღილაკს, შეარჩიეთ და დაამატეთ ახალი საჯარო სკოლა, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა ნაჩვენები.

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენის მიზნით თანხმობის განაცხადის ელექტრონულად წარდგენა

აირჩიეთ რეგიონი: აირჩიეთ რაიონი: აირჩიეთ სკოლა:

თქვენს მიერ შერჩეული სკოლები

პრიორიტეტი	რეგიონი	რაიონი	სკოლა	
პრიორიტეტი N 1			სსიპ - სკოლა	საჯარო 
პრიორიტეტი N 2			სსიპ -	საჯარო სკოლა 


ატვირთეთ პირადობის ან პასპორტის ასლი

No file chosen

ატვირთეთ ფოტოსურათი 3X4

No file chosen

10. „წარდგენის“ ღილაკის გააქტიურების შემდგომ გამოვა შეტყობინება დირექტორობის კანდიდატის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის ასარჩევად თანხმობის ელექტრონული განაცხადის წარმატებით წარდგენის თაობაზე, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ სურათზეა მითითებული.



გისურვებთ წარმატებას!